# საქართველო
## ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო


№ 20

" 23 " 02 " 2012 წ.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების

სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

გიგზავნით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსი N294-ში გამარჯვებულ კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებას.

გთხოვთ განათავსოთ აღნიშნული კონკურსის შედეგების ველში.

პატივისცემით

საკრებულოს თავმჯდომარე გ.მალანია


საქართველო, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი დ.სტეფანწმინდა,4700, ალ.ყაზბეგის ქ№1, ტელ. 790 57 01 12; 790 57 01 17; ს/კ 241499473; www. kazbegi.org.ge.

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N24
(კონკურსი)

16 თებერვალი 2012 წელი

დ.სტეფანწმინდა

ერთის მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი საკრებულოს თავმჯდომარის გოჩა ჩალაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს."ჯი ენ პროექტი", (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი დირექტორის ნანა ქურაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე ,№294 კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1 დ.სტეფანწმინდის ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობების სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.(CPV კოდი 71200000)

2.ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია საკონკურსო წინადადებაში რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 58000 (ორმოცდათვრამეტი ათასი) ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

## 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

## 4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვიქტორ სუჯაშვილი.

4.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

## 5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია: დ.სტეფანწმინდა ალ.ყაზბეგის ქ.#1.

5.2 მომსახურების გაწევის საბოლოო ვადაა 2012 წლის28მარტი.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გაწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი გურამ ფიცხელაური, ამავე სამსახურის სპეციალისტი ლელა ფიცხელაური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნინო ხუციშვილი.

7.2 კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებისპირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

შემსყიდველი                                        მიმწოდებელი

9.5 მხარე ვალდებულია 9.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 30 მარტის ჩათვლით.

შემსყიდველი:

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი
მისამართი: დ. სტეფანწმინდა
ალ. ყაზბეგის ქ.#1
ტელეფონი 599 58 00 28
ს.კ.241499473
მომსახურე ბანკი: სს ლიბერთი ბანკის ყაზბეგის ფილიალი
ბანკის კოდი:LBRTGE22
ა.ა. GE78LB0121181120754000

ხელმოწერა:

მიმწოდებელი

შ.პ.ს. "ჯი ენ პროექტი"
მისამართი: თბილისი
კერესელიძე-ხოშტარიას ქ.#16/8
ტელეფონი 995 32 218 28 48
ს.კ.404382351
მომსახურე ბანკი: სს "თიბისი ბანკის მარჯანიშვილის ფილიალი
ბანკის კოდი:TBCBGE 22
ა.ა GE 31 TB 79 5433 6020 1000 01

ხელმოწერა: